**გაზეთის ფასი:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. | — კ. | |
| 11 | ,, . . | 9 ,, | 50 ,, | |
| 10 | ,, . . | 8 ,, | 75 ,, | |
| 9 | ,, . . | 8 ,, | — ,, | |
| 8 | ,, . . | 7 ,, | 25 ,, | |
| 7 | ,, . . | 6 ,, | 50 ,, | |
| 6 | ,, . . | 6 ,, | — ,, | |
| 5 | ,, . . | 5 ,, | 50 ,, | |
| 4 | ,, . . | 4 ,, | 75 ,, | |
| 3 | ,, . . | 3 ,, | 50 ,, | |
| 2 | ,, . . | 2 ,, | 75 ,, | |
| 1 | ,, . . | 1 ,, | 50 ,, | |

# ივერია

№ 162 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 162

**წლიური ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.



## რედაქციისაგან

**პირველ მკათათვიდამ წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“ ჰღირს 6 მან.**

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს ქალაქში 2 მან. 75 კაპ. და ქალაქ გარედ 3 მან. 50 კაპ.



გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში

## თხზულებანი ია ეკალაძისა.

(ავტორის სურათით).

**ფასი ერთი მანეთი.**

წიგნის დაბარება შეიძლება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიიდგან.

(15—15).

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დ ი ლ ი თ:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 10—11 ს.

**ა. ი. გალარჯიშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 2—1 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ტყეშელაშვილი.**—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 11—12 **ს.** სამშ, ხუთშ. შაბათ.

**გრ. ვ. სობოლევსკი** — დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

**გ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**მ. ს. ელში.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**მ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. აფეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**მ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კკრაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ურდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**ბძელიშვილი კონსტანტინე** ელისბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოოზის ასული ზაალიშვილისა,** მიხეილის პროსპექტი, № 145.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

**ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელი** აცხადებს, რომ მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის 40 თავისუფალი ვაკანსია არის პირველ განყოფილებაში, რომელშიაც მიიღებიან 7 და 8 წლის ყმაწვილები; დანარჩენ განყოფილებებში და პროგიმნაზიულ კლასებში თავისუფალი ადგილი სრულიად არ მოიპოვება.

თხოვნების მიღება გაგრძელდება 25 მარიამობის თვემდინ.

თხოვნასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს აზნაურობის, წლოვანობის და ყვავილის აცრის მოწმობები. ყმაწვილების მიღება დანიშნულია 27 მარიამობის თვეს.

ხელმეორე გამოცდა, რომელიც მაისში დაერიშნა მოსწავლეებს, მოხდება 25 და 26 მარიამობის თვეს.

სწავლა დაიწყება 1 ენკენისთვეს.

(3—6—3)


## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

დაშიცაოს მიდამოები.—პორტ-არტურთან.—კუროკის ლაშქარი.—ვლადივოსტოკის ესკადრა.—პორტ-არტური და სევასტოპოლი.—უცხოელების გემების შეჩერება და დაჩხრეკა.—დაგვიანებული ამბავი.

დაშიცაოდგან იწერებიან დეპეშით 6 ივლისს:

მტერი მთებზეა გაჩერებული, ჩვენ ხეობებში. ვერც ერთი მხარე ვერა ჰპედავს ადგილი იცვალოს და მტერს დაეცეს, რადგან ბანაკიდგან დაძვრას შესაძლოა ცუდი შედეგი მოჰყვეს.

ავდრიანი ამინდი ჯერ არ დაწყებულა. საშინელი სიცხეა.

ადგილობრივი მცხოვრებნი ომის ველზე ხვნა-თესვას მშვიდობიანად მისდევენ. მოსავალს კარგი პირი უჩანს. იმედია ახალი მოსავალი ჩვენს ჯარს სურსათის შოვნას გაუდვილებს და მასთან მაზანდას დასწევს, თორემ «კეთილი» ჩინელები ტყავს გვაძრობენ. სანოვაგეს ისე ძვირად აფასებენ, ისეთი მამა-სისხლობაა, რომ სწორედ კონტრიბუციას გვართმევენ.

საერთოდ ჩინელები მეტად საეჭვოდ მოქმედობენ: ხან თითქო დიდს სამსახურსა და დახმარებას გვიწევენ, ხან კი მეტად კადნიერად გვეპყრობიან; ხან ჩვენი დაჭრილები ომის ველიდგან გამოჰყავთ და საავადმყოფოში აბინავებენ, ხან კი მტაცებლობენ და მკვდრებსა სძარცვენ. ბრძოლის დროს ჩინელები მაღლობებიდგან იაპონელებს რაღაებსაც ანიშნებენ და იგივე ჩინელები ისეთ გაბედულობას იჩენენ, რომ ალყა-შემორტყმულ პორტ-არტურიდგან იპარებიან და მეციხოვნეთათვის სანოვაგე და სურსათი შეაქვთ.

ისინი ამბობენ, ვითომც იაპონელებს ძალიან უჭირთ სურსათის შოვნა და ვითომც საქმე ისე გამწვავდება, რომ იაპონელები იძულებულნი შეიქმნებიან მთლად თავისი ჯარი კორეაში გადიყვანონ.

იმათ სიტყვას კაცი არ უნდა ენდოს, რადგან გაუგებრად და სულ სხვა და სხვანაირად ლაპარაკობენ.

ამბობენ, მაგალითად, ვითომც ამერიკიდგან იაპონელებს დიდძალი თოფ-იარაღი მოსვლიათ, 300,000 თოფი, თავის ტყვია-მასრებით, და ვითომც იაპონიაში ახალი ლაშქარი შეუკრებიათ.

ეს-კი შესაძლოა მართალი იყოს, რადგან 48 მილიონი მცხოვრები ბევრით იმაზე მეტს ჯარს გამოიყვანს, რაც აქამომდე კორეასა და მანჯურიას გადაიყვანა. იმისთანა მეტის-მეტად სახიფათო გზას რომ დასდგომია, ყველაფერი დამზადებული უნდა ჰქონდეს: ჯარი, თოფ-იარაღი და ფული.

ეხლა ამბობენ, ყოველიფე ეს საკმაოდ აქვსო.

ინკოუში მშვიდობიანობა და სიწყნარეა. ყოველ დღე სავაჭრო გემები მოდის და, რაც საჭიროა, ყოველივე მოაქვს, ძვირფასი საქონელიც კი...

იაპონელების მოქმედება გაუგებარია. ჰაიჯოუ დაიჭირეს და გაჩქარებით წინ წამოვიდნენ. შემდეგ კი ერთბაშად შეჩერდნენ და, როგორც ჩვენი ჯაშუშები ამბობენ, უკანაც კი დაიწიეს, ასე რომ მტერი სრულიად არსადა სჩანდა. ამავე დროს მტერმა ჩრდილოეთისკენ წაიწია და მოულოდნელად ჩვენს აღმოსავლეთის რაზმს დაეცა. ამით თუ აიხსნება ათიდღის სიჩუმე. (ნოვოსტი)...

—

ჰაიჯოუდან იუწყებიან 4 ივლისს: ჰაიჯოუს ზემოდ ჩინელები თხრილებს იღებენ და სიმაგრეებს იკეთებენ. საფიქრებელია, რომ აქ მცირე ჯარს დასტოვებენ მტრის მოსაგერებლად და მომეტებულ ჯარს კი ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ გაგზავნიან. ჩვენს მზვერავებს რაღაც ჯარი უნახავთ, რომელსაც ოთხ-ლარიანი თოფები ჰქონდა, ხოლო რა ჯარია, ჯერ ვერ გამოურკვევიათ (რ. ვ.).

—

ლონდონის გაზეთებს შემდეგი ამბები მიუღიათ:

გენერალ კუროკის ლაშქრიდგან: 4 ივლისს რუსები მძლავრად დაეცნენ იაპონელების მარცხენა ფრთას და გარსშემოვლა უნდოდათ. მაგრამ წინ აღუდგა იაპონელების ერთი როტა, რომელიც რუსის ექვს როტას შეებრძოლა. ამ როტის აფიცრები სულ დაიხოცნენ. ერთმა რუსის პოლკოვნიკმა ბარათი დააკრა მოკლულ სალდათს, რომლითაც სთხოვდა იაპონელებს, მოკლულთ და დაჭრილთ კარგა მოეპყარითო.

იაპონიის იმპერატორმა მეორე დივიზიას დეპეშით მიულოცა ივლისის ბრძოლაში გამარჯვება.

გემი «მანჯურია»: 6 ივლისს გემი პორტ-არტურს მიუახლოვდა. იქიდგან კარგად სჩანდა ახლად გაკეთებული სიმაგრეები. ეხლაც ზღვაზე ყუმბარები დაცურავენ. ადმირალ ტოგომ ინახულა კორესპონდენტები და სამხედრო აგენტები. ტოგოს 2 მხატვარი მოუყვანია, რომელთაც პორტ-არტურის ალების სურათი უნდა გადიღონ. ადმირალ ტოგოს სამზვერაო დასები ისე კარგა ჰყავს დახელოვნებული, რომ, თუ საეჭვო რამ შეამჩნიეს, მაშინვე შეატყობინებენ და იაპონიის ფლოტი 2 საათის განმავლობაში გაჩნდება პორტ-არტურთან. (რ. ვ.).

—

ტოკიოდგან პეკინს მიუტანიათ ამბავი, იაპონიის მთავრობამ მოჰკრიბა 46,000 ახალი სათადარიგო, 46,000-იც წინა ვადისა და 40,000 საშინაო ჯარიო. პირველი და მეორე საჩქაროდ შეამზადეს და მალე გაიგზავნება მანჯურიაში, მესამე კი იაპონიაში დარჩებაო (რ. ვ.).

—

პარიჟის გაზეთებს ატყობინებენ, ვლადივოსტოკის ესკადრას, რომელშიაც სამი კრეისერი არის: «როსსია», «რიურიკი» და «გრომობოი», განუზრახავს სავაჭრო და სამხედრო ნავსადგურებს ჩამოუაროს და დაუშინოს ყუმბარაო. ამასთანავე ჰფიქრობს ამერიკელების გემები შეიპყრას, რომლებიც იაპონელებს სურსათს აძლევენ იოკოჰამაშიო (იქვე).

—

გაზეთ „დეილი ქრონიკს“ ორი კორესპონდენტი ჰყავს შორეულ აღმოსავლეთში: ერთი გენერალ კუროკის ლაშქარში და მეორე ტოკიოში.

პირველი იწერება: ყველა ეხლა პორტ-არტურს შეჰყურებს და იერიშს მოელის, რომელზედაც დამოკიდებულია გენერალ კუროკის მოქმედება მომავალში.

მეორე დეპეშით იუწყება: მე მგონია, პორტ-არტურზე იაპონელები იერიშს მიიტანენ 1—3 აგვისტოს. რუსებს 150 დიდი ზარბაზანი აქვთ, ხოლო იაპონელებს მეტი მიუტანიათ. ამასთანავე პორტ-არტური ტყვია-ყუმბარას ველარსაიდგან მიიღებს (ნ. ვ.).

—

გენერალი ბოტიანოვი სწერს «რუს. ინვალიდში.»

ალყა-შემორტყმული პორტ-არტური სევასტოპოლის ამბავს მაგონებს. მაშინ ჩვენ ყველამ კარგად ვიცოდით, რომ დავიხოცებოდით სამშობლო ქალაქის დასაცველად; ჩვენ კარგად ვიცოდით, რომ ასე ჰფიქრობს მთელი რუსეთიც, რომელიც სულით და ხორცით ჩვენთან იყო. სწორედ ამისთანა გარემოებაში არის ეხლა პორტ არტურიც და ამასვე გრძნობენ მისი თავგანწირულნი მცველნიც. იმათ ბედმა საბედნიერო ხვედრი არგუნა—მცველობა ჩვენის ქვა-კუთხედის ბურჯისა შორეულ აღმოსავლეთში და სახელოვანი სიკვდილი იმ იმედით, რომ მათს ადგილს სხვები მივლენ და დაიჭერენ; როგორც ალყა შემორტყმულ სევასტოპოლის დასახსნელად მაშინ ჯარი მიდიოდა, ისე ეხლა მეციხოვნეთა და მეზღვაურთა სახსნელად ბალტიის ესკადრა ემზადება, რომელიც არა თუ მოძმეებს იხსნის, არამედ ბოლოს მოუღებს ომს, იაპონიის მიერ ძალად გამოწვეულს. მთელი რუსეთი მოუთმენელად ელის იმ სასიხარულო დღეს, როდესაც ესკადრა მზად იქმნება და სწამს კიდეც, რომ ეს დღე მალე დადგება.

—

უცხოელები ძალიან აალაპარაკა რუსეთის სამხედრო გემების მოქმედებამ მეწამულ ზღვაზე. ვენის საერთაშორისო კანონების პროფესორი სწერს:

თავისუფალ ფლოტის გემებს მხოლოდ მაშინ შეუძლიანთ სანეიტრალო გემები სჩხრიკონ, თუ რომ რუსეთის მთავრობამ ეს გემები საკუთრებად შეიძინა, ვიდრე დარდანელის სრუტეს გასცდებოდნენ და ამ შესყიდვის შესახებ წინადვე აცნობა სახელმწიფოებს, რომ სცოდნოდათ. ფოსტაც სამხედრო კონტრაბანდათ უნდა ჩაითვალოს, თუ არა,—ეს გადაწყვეტილი არ არის, ხოლო საფოსტო გემი, რომელიც მუდამ წინ და უკან დადის სხვა და სხვა ქვეყნებში, მოპასუხე არ არის,, თუ რომ ფოსტით გაგზავნილ ნივთებში სამხედრო კონტრაბანდი შეაპარეს. ამისთანა შემთხვევაში მხოლოდ აღკრძალული ნივთები უნდა ჩამოერთვას. თუ რომ რუსის გემების მოქმედება საერთაშორისო კანონის წინააღმდეგია, ამ შემთხვევაშიც ეს მოქმედება ომის გამოცხადების მიზეზად მხოლოდ მაშინ ჩაითვლება, უკეთუ გემების უფროსების საქციელს მთავრობა მოიწონებს. წინააღმდეგ შემთხვევაში კაპიტნების საქციელი უფლების გადაჭარბებად უნდა ჩაითვალოს და ბოდიშის მოხდით გათავდეს.

ერთი მეზღვაური სწერს: უწინარეს უნდა გამოირკვეს, იმ გემების კაპიტნები, რომლებმაც ფოსტა დაიჭირეს, სამხედრო სამსახურში არიან ჩარიცხულნი თუ არა. თუ რომ ამ შემთხვევაში რუსის გემების კაპიტნები სამხედრო სამსახურში ირიცხებიან, მაშინ თავისუფალ ფლოტის გემებს დარდანელზე გავლის უფლება არა ჰქონდათ (რ. ვ.).

—

«მანჯურიის ლაშქრის მოამბეში» დაბეჭდილია შემდეგი განცხადება, რომელმაც ჩვენამდე ძლივს მოაღწია:

მთავარ-შტაბის პოდპოლკოვნიკის მადრიტოვის მხედართა რაზმის შესავსებად საჭიროა 35 კავკასიელი.

ვინც კი მოინდომებს და მიღებულ იქმნება სამსახურში, იმას უნდა ჰყავდეს ცხენი და ჰქონდეს აღვირ-უნაგირი და იარაღი, თოფს გარდა, რომელსაც ჩემგან მიიღებს სამსახურში მიღების დროს. ყოველი მხედარი მიიღებს ცხენ-უნაგირის ფასს—100 მანათს, ჯამაგირი 25 მ. თვეში და სასმელ-საჭმელი ხაზინის ხარჯით.

15 ივნისამდე მსურველებს ვინახულებ ხარბინში, «ზოლოტოი იაკორის» სასტუმროში, 17 ივნისიდგან 20-მდე—მუკდენში, სასტუმრო «მუკდენში», სადაც რაზმი თავის მოვალეობის აღსრულებას შეუდგება.

ხელს აწერს ს. ნ. იოსელიანი.

# ტფილისი

⁂ გუშინ, 13 ივლისს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, უმაღლეს სასწავლებელში მოსწავლე ქალთა და ვაჟთა თაოსნობით, გარდახდილ იქმნა პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულ რუსის გამოჩენილ მწერლის ანტონ პავლეს ძის ჩეხოვის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი გადაიხადა ამ ეკლესიის მღვდელმა მამა კალისტრატე ცინცაძემ. პანაშვიდს დაესწრო ტფილ. ქალაქის მოურავის მოადგილე თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი, ადგილობრივ ჟურნალ გაზეთების წარმომადგენლნი, სამხედრო და სამოქალაქო მოხელენი, მოსწავლე ახალგაზდობა, როგორც ქალნი, ისე ვაჟნიც, და დიდი საზოგადოება.

⁂ დღეს, ოთხშაბათს, 14 ივლისს, კავკასიის მთავარმართებლის თანამდებობის აღმასრულებელი ინფანტერიის გენერალი ბ-ნი ფრეზე სამსახურის საქმეთა გამო მოხელეებსა და მთხოვნელთ მიიღებს ნაშუადღევის 1-ლ საათზედ, მთავარმართებლის კანცელარიის სადგომში, ლაბარატორიის ქუჩაზედ.

⁂ ტფილისის სამხატვრო სასწავლებელში 1-ლ, მე-2 და მე-3 კლასში შესვლის მსურველთა და აგრეთვე საშუალო სასწავლებლის ატესტატის მქონეთა თხოვნები მიიღება ყოველ დღე 25 აგვისტომდე, დილის 10 საათიდგან შუადღის 12 საათამდე. ხატვაში გამოსცდიან შემსვლელს 31 აგვისტოს, ხოლო სხვა საგნებში—1 სეკდემბერს

⁂ როგორც გაზ. «კავკაზს» პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ, მისის უდიდებულესობის ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის პოლკოვნიკს თავ. მუხრანბატონს ებოძა გენერალ-მაიორობა და დანიშნულ იქმნა ლეიბ-გვარდიის ცხენოსანთა პოლკის უფროსად.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას განზრახვა ჰქონდა, რომ ავჭალის ქუჩაზედ, სახალხო აუდიტორიის ზემოდ, იმ ადგილას, სადაც ნაძალადევში გადადის გზა, აგრეთვე მსროლელთა ბატალიონის ყაზახების პირდაპირ და არსენალთან ისეთი საცალ-ფეხო ხიდი გაეკეთებინა რკინის გზის ლიანდაგზედ გადასასვლელად, რომ ხალხს ზედ ლიანდაგზედ აღარ ევლო, რადგანაც ხშირად უბედური შემთხვევანი ხდებოდა და მცხოვრებნი უკიდურეს მდგომარეობაში იყვნენ. ამ აზრით რკინის გზათა გამგეობამ აირჩია კომისია, რომელშიაც მოჰყვნენ: რკინის გზის მე-6 ნაწილის უფროსი ინჟენ. კარპოვიჩი, ქალაქის ინჟენრები: ალიბეგოვი, მელიქ-ბეგლიაროვი და ახნაზაროვი. ამ კომისიამ შეიმუშავა პროექტი, რომელიც უკვე წარუდგინა რკინის გზათა გამგეობას. კომისიას სასურველად უცვნია, რომ დროებით ხიდის მაგიერ ნაძალადევის გვირაბში გააკეთოს ისეთი თაღები, რომ ხალხს შეეძლოს თავისუფლად სიარული. თაღები უნდა იყოს ერთ არშინზედ მაღლა აწეული, რადგანაც ამ ადგილას ხშირად იცის ნიაღვარმა მოვარდნა. ამასთანავე თაღებში უნდა დაიგოს აქეთ-იქით თლილის ქვის ტროტუარი, რომელზედაც ხალხი ივლის, ხოლო შუაში კი—ეტლების სავლელი გზა იქნება. შემდეგისათვის კი კომისიას შესაძლებლად უცვნია, რომ ყველა ზემოხსენებულს ადგილებში გაკეთდეს არამც თუ მარტო საცალფეხო ხიდი, არამედ ისეთი, რომ ეტლებსაც შეეძლოს ზედ სიარული. კომისიას ამის თაობაზედ შეუდგენია ოქმი, რომელზედაც ხელი უწერია თვით რკინის გზის წარმომადგენელს, მე-6 ნაწილის უფროსს ინჟ. კარპოვიჩსა და ქალაქის ინჟენრებს ბ-ნ ალიბეგოვს, ახნაზაროვსა და მელიქ-ბეგლიაროვს, ამ ამბავს დიდი მნიშვნელობა აქვს ტფილისის ზემოდ ნახსენებ ადგილების მცხოვრებთათვის და სასურველია, რომ რკინის გზათა გამგეობა ადრევე შეუდგეს კომისიის მიერ შემუშავებულ პროექტის განხორციელებას.

⁂ გუშინ-წინ, 12 ივლისს, ტფილ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში მოჰხდა საჯარო ვაჭრობა იმ მამულებისა, რომლის პატრონებსაც დროზედ არ შეიტანეს ბანკის ხვედრი გადასახადი. სულ გასაყიდათ დანიშნული იყო 22 მამული; აქედგან გაიყიდა მხოლოდ 6, (5 ტფილისისა და 1—ფოთის), დანარჩენი 16 მამული კი ბანკს დარჩა. ამ მამულებზედ ხელახალი საჯარო ვაჭრობა აღარ დაინიშნება და, თუ ვისმე სურს მამულის შეძენა, კერძოდ უნდა მიჰმართოს ბანკს.

⁂ მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების თავმჯდომარემ გრაფინია პ. ს. უვაროვისამ ეხლახან დაბეჭდა ახალი წიგნი, მე-3 ნაწილი მისის კავკასიაში მოგზაურობისა: «კავკასია: რაჭა, გორის მაზრა, ოსეთის მთები, ფშავი, ხევსურეთი და სვანეთი». გრაფინიას უმთავრესი ყურადღება მიუქცევია ჩვენის ქვეყნის სხვა-დასხვა სიძველეებისათვის. გრაფინიას წიგნში აღწერილია აგრეთვე კავკასიის საუცხოვო ბუნება, ადგილ-მდებარეობა, ხალხური ზნე-ჩვეულება და სხვ. ტექსტს დართული აქვს 18 ფოტო-ტიპიური მშვენიერი სურათი (სანახაობა და ტიპები კავკასიისა).

⁂ ტფ. საგუბერნიო ექიმის თანაშემწე ბ-ნი მაჰავარიანი უკვე დაბრუნდა ტფილისს მანგლისიდგან, სადაც მან სანიტარულის მხრივ დაათვალიერა მანგლისი და მისი ახლო-მახლო მიდამოები და საჭირო განკარგულება მოახდინა სისუფთავის დასაცველად.

⁂ ტფილისისა, თიანეთისა, დუშეთისა და ბორჩალოს მაზრის უფროსები აუწყებენ ტფ. საგუბერნიო სამკურნალო განყოფილების სასანიტარო კამისიას, რომ სამაზრო კომისიები უკვე შეუდგა მოქმედებას და ამ ჟამად ათვალიერებს ხსენებულ მაზრების დაბა-სოფლებსა და ასუფთავებსო.

⁂ ქალ. გორში 18 ივლისს მიემგზავრება ტფილისის ოლქის სასამართლოს სესსია ბ-ნ ჩემესოვის თავმჯდომარეობით; წევრად იქნება ბ-ნი ჩერნიკი, ხოლო ბრალმდებლად-ბრალმდებლის ამხანაგი ბ-ნი ზავადსკი. სესია გასტანს 26 ივლისამდე.

⁂ გურიაში, როგორც გაზეთები სწერენ, მღვ. მ. ნიჟაძის რამიშვილს გარდა, იმავე ღამეს ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ მოუკლავთ თავ. შალიკაშვილი. მკვლელის კვალისთვის ჯერ ვერ მიუგნიათ.

⁂ ქუთაისის ქალაქის გამგეობას განზრახვა აქვს ქუთაისში ტელეფონი გაჰმართოს. სამთო ინჟენერს ალიბეგოვს მოლაპარაკება გაუმართავს ქალაქის გამგეობასთან და უკისრნია 200 აბონენტის გამართვა 16,000 მან.; ეს ფული ორ წელიწადში უნდა მისცეს ქუთაისის ქალაქის გამგეობამ ბატონს ალიბეგოვს, ე. ი. წლიურად 8,000 მან., ხოლო თუ ვერ გადაუხადა; მაშინ უნდა აძლიოს ფულის სარგებლად 6%.

⁂ ტფილისის ქალაქის გამგეობამ ქუჩების და მოედნების მოკირწვლის ხელმძღვანელად მიიწვია მთავარ-მართებლის კანცელარიის სატეხნიკო საბჭოს წევრი ინჟენერი მოლოდცოვი.

⁂ 6 ივლისს ზუგდიდის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებაში მოჰხდა არჩევნები. ამ საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩიეს ბ-ნი ვ. კ. აღშიბაია, ხოლო დირექტორებად—ბ-ნნი დავით კარტოზია და დიმიტრი ქვანია.

## ჩვენებური ამბები

**ახალციხე.** გულის ფანცქალით მოელოდნენ ახალციხის ქართველები საქართველოს ეგზარხოსის მობრძანებას. გული დაწყლულებული ჰქონდათ ერთ იმ უკუღმართობით, რომელიც ასე ხშირად ევლინება ამ ბოლოს დროს უბედურ ვარსკვლავზე გაჩენილს «საქართველოს ერს».

ახალციხელებს ჰქონდათ ეროვნული სიწმინდე—წმ. მარინეს ეკკლესია, სადაც ქართულად ღვთის ვედრება არ შეწყვეტილა თვით ოსმალოს დროსა. მის წმიდა ტრაპეზის წინ ოსმალოთ და ენგიჩართ 1804 წ. დაანთხიეს უბიწო სისხლი მღვდლის ვასილ ორბელიანისა. შვილი მისი იოსები მღვდელ-მოქმედებდა ამავე ეკკლესიაში პასკევიჩის მოსვლამდე და შემდეგაც.

რაკი 1828 წლიდან ქრისტეანობა გაბატონდა, ხილულ ქართველობას «ფარული» ქართველობაც მიემხრო და გაჩნდა პატარა მრევლი, რომელმაც წვითა და დაგვით განაახლა ჩვენი პატარა ეკკლესია და გააფართოვა. მარტო ღარიბი ქართველობა ვერასა ხდებოდა და მთავრობაც მცირედად შეეშველა კეთილ საქმის დამთავრებაში. ქვრივმა დედოფალმა მარიამ თეოდორეს ასულმაც შემწეობა აღმოუჩინა და დამთავრდა საქმე.

სამოციან წლებში ახალციხეს ბერძნის ჭაჭანება არ ყოფილა. დაახლოვებით ამ დროს გაჩენილა ორიოდე კომლი ბერძენი. თურმე ეკკლესიის გაფართოვებას რომ შეუდგნენ ხელმოკლე ქართველები, სთხოვეს სტუმარ ბერძნებს—ქვის მტეხლები და შენობის აგებაში დახელოვნებულები ხართ, თვალ-ყური დაიჭირეთ, რომ იჯარადრებმა ყალბი მასალა არ ახმარონ ეკკლესიასო. მართლმადიდებელმა ბერძნებმა ზედ არ მიიკარეს ეს თხოვნა.

განვლო ჟამმა. დამკვიდრებულ ორიოდე კომლ ბერძენს მოემატა «მოსიარულე» ბერძნობა სპარსეთიდან, ოსმალეთიდან და საბერძნეთიდან, სულ რაღაც ოციოდე კომლი. ჯერ ამათ რუსის ქვეშევრდომობა არ მიუღიათ. ეს რაა, ერთი მათგანი 1897 წ. განძრახ ჩაწერილა «საბერძნეთის სამეფოს» ქვეშევრდომად. მოტივი უბრალო ყოფილა. ლუკმა გავარდეს ჯამში ჩავარდესო. რახან ხარჯს ვიხდი, ბარემ ეს ხარჯი ჩემს სამშობლოს ერგოსო.

აი სწორედ ამ «მოსიარულეთ» და ორიოდე ახალციხის მკვიდრ ბერძენს, ვიღასიც ჩაგონებით, მადა გაეხსნათ და განიძრახეს წმ. მარინეს ეკლესიის დასაკუთრება. გაძვრნენ-გამოძვრნენ, საბერძნეთის დედოფალიც-კი შეაწუხეს და საქმე გაიჩალხეს. წმ. მარინეს ეკლესიაში ამ ოთხიოდე თვის წინად ბერძნის ღვდელი, წალკელი ბერძენი, გვარად ღარიბოვი, გამოგზავნეს. ღარიბოვმა ქართული არ იცის და მრევლმა კიდევ ბერძნული. აირია მონასტერი. ერი უზიარებელი ð უილსარებო დარჩა. შეწუხდა ერი, რადგან ეკლესიაში ვეღარ დადიოდა, ვინაიდგან არც ბერძნული და არც სლავიანური არ ესმოდა და ვედრებით სთხოვა აქაურ ნასწავლ ქართველებს, წმ. მარინეს მრევლთაგანს, მოახსენეთ არხით, ჩვენის სახელით, ეგზარხოსს ჩვენი გაჭირვებაო. ასე გაშინჯეთ, მარშალსაც კი შეატყობინეს თავისი უბედურება. დახმარება სთხოვეს აგრეთვე მომრიგებელ შუა-კაცად და მაზრის უფროსად ნამყოფს ნ. ალექსი—მესხიშვილს. ამ მიხლამოხლის შედეგი ის იყო, რომ მათი მეუფება დაჰპირდა ახალციხელებს—მე თვითონ გამოვიძიებ საქმესო.

ეხლა მიხვდებით, თუ რა იყო მიზეზი ახალციხელ ქართველების მოუთმენლობისა. ეგზარხოსი მობძანდა 30 ივნისს დიდის ამალით. როგორც შევნიშნეთ, თან ახლდა დეკანოზი ვოსტორგოვი, დეკ. ა. თოთიბაძე, ბერი გერასიმე, პროტო-დიაკონი კ. კარგარეთელი და სხვანი. ბინა დასდეს იაკობ ორბელიანის სახლში, სადაც შვიდი ევროპიულად მოწყობილი ოთახია ზედა სართულში, აივნებით. ეს ორბელიანი შვილის-შვილია წმ. მარინეს ეკლესიაში მოკლულ მღვდლის ვასილისა.

ეგზარხოსს მიეგებნენ მთავრობის კაცნი და პატივი სცეს, როგორც შეეფერება სასულიერო წოდების უმაღლეს წარმომადგენელს. მათმა მეუფებამ მოიხილა საფარა და საღამოს, პირველ ივლისს, ისევ დაბრუნდა თავის ბინაზე. ჩაის დროს ინტელიგენტ ქართველებმა (წმ. მარინეს მრევლთაგანებმა) მრევლის მონდობილებით, ეგზარხოსს მოახსენეს ერის მწუხარება და სთხოვეს მამა-პაპათა ეკლესიის დაბრუნება და ქართულ წირვა-ლოცვის აღდგენა. სახლის პატრონმა იაკობ ორბელიანმა (ხანში შესული კაცია, ასე 60 წლისა) აკანკანებულის, მაგრამ ენერგიულის ხმით, ქართულად და ფეხზე წამოდგომით მოახსენა მათ მეუფებას: ზედ აღდგომა დღეს სუფრის საკურთხებლად მობძანდა წმ. მარინეს მოძღვარი მამა ღარიბოვი ჩემს ოჯახში და, რადგან იმან ქართული არ იცოდა და მე კიდევ სუსტად ვიცი რუსული, ქრისტე აღსდეგი მივულოცეთ ერთმანეთს ოსმალურად. ასეთი გაბიაბრუება ჩემის ოჯახისა თვით ოსმალოსა და განსვენებულის პაპი-ჩემის დროს არა ყოფილაო. ან, განა ღმერთი შეიწყნარებს, რომ უდიდესი საქრისტიანო დღესასწაული მოძღვარმა მრევლს თათრულად (ოსმალურად) მიულოცოსო? ეს ძლიერი სიტყვა უთარგმნა მათ მეუფებას რუსულად ადგილობრივმა დეკანოზმა დ. ხახუტაშვილმა.

როგორც შემომესმა, მათს მეუფებას მოუთხოვნია აღსარებითი სია, საიდანაც დაუნახავს, რომ მკვიდრი ბერძენი სულ რაღაც ორი-სამი კომლია, «მოსიარულე» 18—19 კომლი, ქართველობა კი ასზე მეტი. ნეტა ვინ უშლის ქვის მჩხავ ბერძნებს, საკუთარი ეკლესია აავონ, თუ-კი აგრე სწყურიანთ წირვა-ლოცვა სამშობლო ენაზე (ბერძნულად), რომელიც ისევე იციან, როგორც მე ჩინური. «მოსიარულე» ბერძნები ქლუტუნებენ დამახინჯებულ ოსმალურით. ისიც მიამბეს, რომ ვითომ ეგზარხოსს უკვე უნებებია დააკმაყოფილოს მართლ-მადიდებელ ქართველთა თხოვნა და ღარიბოვის მაგიერ გადმოიყვანოს ჯავახეთიდან ბარალეთის მღვდელი მ. ბენიამინე კანდელაკი, სემენარიაში ნასწავლი და რიგიანად განვითარებული. ღმერთმა ინებოს, რომ ეს კეთილი განზრახვა კეთილად დასრულდეს.

ვინმე.

## ხორველა.

არც ერთი ავადმყოფი ისეთს შიშს არა ჰგვრის ერს, როგორც ხორველა. ყელჭირვება, ქუნთრუშა, სახადი და სხვა მოარული, რომელიც ხშირად ევლინება და მუსრს ავლებს ქალაქებისა და დაბა-სოფლების მკვიდრთ, ისე თავ-ზარ დამცემი არ არის, როგორც ხორველა.

ხორველა დროით-დრო ჩნდება. იგი უკვე ეწვია სპარსეთს და ჰმუსრავს თეირანის მცხოვრებთ ასობით, თითქმის ათასობით.

სპარსეთიდან საქართველომდე ფრიად ახლოა. საჭიროა ახლავე მოვემზადნეთ მის წინააღმდეგ საბრძოლველად.

აზიის ხორველა სასტიკი სენია. აი უმთავრესი მისი ნიშნები.

აზიის ხორველა იწყება ფაღარათობით, რომელიც ჩვეულებრივად თავს იჩენს მოულოდნელად, ღამე ან დილით. ხორველის ფაღარათობას მუცლის ტკივილი არ მოსდევს, ყოველ «მოთხოვნილების» წინად კი იცის მუცლის ბუყბუყი. ვინც პირველად ავად ჰხდება ხორველით, ჰგონია ჩვეულებრივი ფაღარათობა მაქვსო.

ხორველა-შეყრილის განავალი განსხვავდება ჩვეულებრივ ფაღარათობა-მუცელათი ავად გამხდარის განავალისაგან. პირველი უფერულია ანუ მოთეთრო,

# ფელეტონი

## შურის მაძიებელი.

(ან. ჩეხოვის).

თედორე თედორეს ძე სიგაევმა დაინახა რა, რომ თავისი ცოლი და ვიღაც ყმაწვილი კაცი თავდავიწყებას მისცემოდნენ, მიირბინა შმუკსისა და ამხ. იარაღის მაღაზიაში და დაუწყო რჩევა მისთვის შესაფერს რევოლვერს. იმის პირისახეზედ ნათლად იხატებოდა მრისხანება, სულის მღელვარება და შეურყეველი გარდაწყვეტილება.

— ვიცი, რაც უნდა ვქნა, —ჰფიქრობდა ის.—ოჯახი შეურაცხყოფილია... პატიოსნება ლაფში ამოსვრილი... ბიწიერება დღესასწაულობს, და ამიტომ მე, როგორც მოქალაქემ, როგორც პატიოსანმა კაცმა, შური უნდა ვიძიო. ჯერ მოვჰკლავ იმას, შემდეგ მის კუროს და ბოლოს მეც თავს მოვიკლავ...

სიგაევს ჯერ არც რევორველი ამოერჩია და არც არავინ მოეკლა, მაგრამ ოცნებით უკვე წარმოედგინა სამი, სისხლის მორევში მცურავი, გვამი, სამი საშინლად დაჩეჩქვილი თავის ქალა, რომლიდგანაც ტვინი გადმოთუხთუხებდა, ირგვლივ საშინელი ჩოჩქოლი, უცნაური მითქმა-მოთქმა, მოგროვილ უგნურ ხალხის ყაყანი, მწუხარება ნათესავებისა და საზოგადოებისა, შემაძრწუნებელი ტანჯვა მომაკვდავის მოღალატისა... და ასე გასინჯეთ, აზრით ჰკითხულობდა საგაზეთო მოწინავე წერილებს, სადაც ერთხმად ღაღადებდნენ ოჯახურის წეს-წყობილების ძირითადის გარდაქმნის საჭიროებას.

მკვირცხლი, უკანასკნელ მოდაზე კოპწიად გამოწყობილი, ტკბილად გულ-მომლიმარი მაღაზიის ნოქარი, აწყობს მის წინ რევოლვერებს და ჩვეულებრივის ფეხის ფრატუნით ეუბნება:

— გირჩევთ, ბატონო, წაიღოთ აი ეს საუკეთესო რევოლვერი ცნობილ სმიტისა და ვესსონის სისტემისა გახლავთ; ექვსას ნაბიჯზედ რასაც დაუმიზნებ, არ ასცდება. ერთის თვალის დახამხამებაზედ შეგიძლიანთ დააწვინოთ ცოლიცა და მისი საყვარელიც... ყოველ დღე ვყიდით ათ-ათ ცალს. მიაქვთ ყაჩაღებისა, მგლებისა და საყვარლების მოსაკლავად. ხოლო თუ თავის მოსაკლავად გსურთ, ამისთვის ხომ საუკეთესო რამ არის!..

ნოქარმა ჩახმახი ფეხზედ შეაყენა, დაუმიზნა და თან ისეთი სახის მეტყველება მიიღო, ასე გეგონებოდათ, აღტაცებაში მოდისო; ძალაუნებურად იფიქრებდით, რომ სიამოვნებით მოიკლავდა თავს, თუ კი შესძლებდა ისეთის სისტემის რევოლვერის გამოგონებას, როგორიც სმიტისა და ვესსონისა იყო.

— რა ჰღირს?—ეკითხება სიგაევი.

— ორმოცდა ხუთი მანეთი, ბატონო.

— ჰმ!.. ძლიერ ძვირია!

— მაშ მეორე სისტემისა მიირთვით, უფრო იაფია. აი, ბატონო, ინებეთ, ჩვენ ყველა სისტემის რევოლვერები გვაქვს. მაგალითად, ეს რევოლვერი ლეფოშეს სისტემისაა, ჰღირს მხოლოდ თვრამეტ მანეთად, მაგრამ...—აქ ნოქარმა შეიჭმუხნა —ეს სისტემა ძველის-ძველია; ამას ეხლა მხოლოდ ნასწავლი პროლეტარები და ფსიხომატები ყიდულობენ. თავის ან ცოლის მოკვლა ლაფოშეს სისტემის რევოლვერით პირდაპირი ნიშანია ჭკუის სისუსტისა.

— მე არ ვსაჭიროებ არც დაჭრას, არც მოკვლას,—დაღრეჯით იცრუა სიგაევმა.—ისე, ვყიდულობ, ქურდების შესაშინებლად...

— რა ჩემი საქმეა, რისთვისაც ყიდულობთ! თვითოეულს შემთხვევაში რომ მიზეზები გამოვნახოთ, მეტი გზა არ არის, მაღაზია უნდა დავკეტოთ. ქურდების შესაშინებლად ლაფოშე სრულებით არ ვარგა: იმიტომ, რომ ხმა სუსტი და ყრუ აქვს. თუ ინებებთ, გვაქვს მეორე ჯურის რევოლვერი — მორტიმერის სისტემისა, რომელსაც დუელისათვის ჰხმარობენ.

— მოდი, დუელში გამოვიწვევ,—გაუელვა თავში ფიქრმა სიგაევს.—ეს ხომ დიდი პატიოსნებაა! მაგნაირ პირუტყვებს ხომ ძაღლივით აღრჩობენ!

მომღიმარე ნოქარი ეშხიანად შემოტრიალდა და ლაპარაკის შეუწყვეტლად ერთ წამს დააწყო სიგაევის წინ მთელი გროვა რევოლვერებისა. მაგრამ ყველაზე უფრო მიმზიდველი მაინც სმიტისა და ვესსონის სისტემის რევოლვერები იყო. სიგაევმა აიღო ხელში ერთი რევოლვერი ამ სისტემისა, გაფაციცებით დააცქერდა და ფიქრებმა გაიტაცა.

თვალწინ ეხატება დაჩეჩქვილი თავი, სისხლი, რომელიც დაიღვრებოდა ხალიჩასა და შეღებილს იატაკზედ, სულთმობრძავი მისი მოღალატე ცოლი... მაგრამ მის შურით აღსავსე გულს, ვერც სისხლის მორევი და ვერც ასეთი შემაძრწუნებელი სანახაობა აკმაყოფილებს...

— ამაზე მეტი საშინელება უნდა მოვიგონო!—ამბობდა თავისთვის სიგაევი. მერე განაგრძო:

— აი რა: ჯერ მოვკლავ ჩემის მოღალატის საყვარელს და მერმე თავს მოვიკლავ. იმას კი ცოცხალს დავტოვებ. დეე, ჩაჰკვდეს ტანჯვა-წვალებით, სინიდისის ქენჯნით, ნათესავებისა და ნაცნობებისაგან შეურაცხყოფილი. სუსტისა და ნერვებიანის ქმნილებისათვის ეს საუკეთესო სასჯელია. სიგაევმა წარმოიდგინა ისიც, თუ როგორ დამმარხავენო, როგორ დარცხვენილი, როგორ შეწუხებული მოვა ჩემი მოღალატე ცოლიჩემ ცხედართანაო; წარმოიდგინა მგლოვიარე ცოლი, რომელმაც არ იცის სად დადგეს, როგორ მოიქცეს; ასე ჰგონია, რომ კუბოსთან მდგომი ხალხი ყველა მისს შეწუხებულ სახეს უცქერის და ამიტომ აღშფოთებული აქეთ-იქით მოუსვენრად აცეცებს თვალებს.

— მე როგორც ვხედავ, ბატონო, თქვენ მოგწონთ სმიტისა და ვესსონის სისტემის რევოლვერი,—გააწყვეტინა ფიქრი ნოქარმა.—და, თუ გეძვირებათ, ხუთ მანეთს დავაკლებ. გვაქვს უფრო იაფ ფასიანიც, ფრანგულის სისტემისა.

ამ სიტყვებზედ ნოქარი მკვირცხლად შემოტრიალდა და თაროდგან გადმოიღო კოლოფი, რომელშიაც რევოლვერები ეწყო.—აი, ბატონო, იაფ-ფასიანი. ამისი ფასი ოცდა ხუთი მანეთი გახლავთ. მაინცა და მაინც ძვირი არაა. ეხლა რევოლვერების ფასი ძლიერ დაწეულია, საბაჟო გადასახადი კი დღითი-დღე ემატება. ღმერთს გეფიცებით, ბატონო, მე თუმცა კონსერვატორი ვარ, მაგრამ საშინლად მაწუხებს ეს გარემოება. ისე თანდათან უმატებენ ბაჟს, რომ რამდენისამე ხნის შემდეგ რევოლვერების შეძენას მხოლოდ მდიდრები თუ შესძლებენ. ღარიბებს დარჩათ მხოლოდ ტულის იარაღი და ფოსფორის წუმწუმა. ამგვარ იარაღის ტარება კი უბედურებაა!

ბრინჯის ნახარშის მსგავსი და არც სუნი აქვს.

პირველად გაფაღარათების შემდეგვე ავადმყოფი ჰგრძნობს მეტის-მეტად სიძაბუნეს, სიუძლურეს.

გაფაღარათების შემდეგ და ხან-და-ხან მასთან ერთად ხორველიანს პირიდამ ასაქმებს ძლიერად და ისიც გულის აურევლად. ავადმყოფს ასაქმებს პირიდამ ჯერ საჭმელს, მერე მწარე ნაღველს და უფერულ სითხეს. საქმებასთან ერთად ავადმყოფს მოსდის კანკალი კუნთებისა და მერე მთელის ტანისა.

სენის გაძლიერებისა დაგვარად, ავადმყოფს უჩნდება საშინელი წყურვილი და მუცლის წვა. მერე ავადმყოფის სხეული ცივდება, კანი ლორწოიანი ხდება; ყურები, ხელები, ფეხები და ტუჩები ულურჯდება, თვალები უცვივდება, ცხვირი უწვეტიანდება, ქშენას იწყებს, ხმა უხრინწიანდება, მაჯა უჩერდება, შარდი ეკვრის, თანდა-თან კარში-გასვლის მოთხოვნილებაც უიშვიათდება, პირ-ღებინება ესპობა და ავად-მყოფი კვდება.

წამლობა.

ხორველიანობისას სავალდებულოა ფაღარათობით ავადმყოფი განაცალკევონ და ბეჯითად დაუწყონ წამლობა.

ავადმყოფი უნდა ჩააწვინონ ლოგინში, თბილად დაჰხურონ, ძნელად მოსანელებელი საჭმელი არ მისცენ, ასვან მომჟავო სასმელები, ლიმონადი, მუქი თერმონი (ჩაი) ლიმონით, წითელი ღვინო; ლოგინში ჩაწვენის წინად შეიძლება აბანონ საბანელში (32° რეომიური), მერე ფაქიზად შეამშრალონ და საბან-შემოკეცილი დააწვინონ.

კანკალის მოსასპობად და სითბოს გამოსაწვევად ავადმყოფს ტანს უზელავენ კამფორის სპირტით ანუ მარილ-ნარევ არაყით. ფეხებს უთბობენ ცხელის წყლით გავსებულ ბოთლებით ანუ კოჭებით. მუცელზედ ადებენ მოშუშულ ანუ ცხელ ქატოს, შვრიას, მარილისა ანუ მდოგვის სათბილობელს (კომპრესს).

ექიმის მოსვლამდე შეიძლება ასვას წუმპლები (კაპლები) ბოტკინისა, ჰოფმანისა ინოზემცევისა (ოც-ოცი სამ-სამჯერ ანუ ოთხ-ოხჯერ დღეში).

აუცილებლად საჭიროა ავადმყოფის ოთახიდან გაიტანონ მისი განავალი, ნახველ-ნარწყევი.

გატანის წინად მათ უნდა დაესხას მდუღარე წყალი, ფეხ-ალაგში ჩასხმის შემდეგაც ზემოდგან უნდა დაესხას აგრეთვე მდუღარე წყალი; თვით ჭურჭელიც, რომლითაც გატანილი იქმნა ავადმყოფის განავალ-ნახველი, კარგად უნდა გალალადდეს კირის სითხესა ანუ კარბოლის სიმჟავეში.

ხორველის წინაამდეგ საბრძოლველად ევალება ყოველს კაცსა და საზოგადოებას:

ა) ყოველნი, რომელთაც მოშლილი აქვთ კუჭი, უნდა ეცადნენ, რაც შეიძლება, მალე მოირჩინონ ეს სნეულება, და თუ ფაღარათობა გაუჩნდათ, დაუყონებლივ მოიწვიონ ექიმი.

ბ) ყოველს სახლში და საზოგადო დაწესებულებაში უნდა იქონიონ უუსაჭიროესი წამლები და სადეზინფექციო მასალა (კარბოლის სითხე და სხვა.).

გ) ხორველიანობისას საჭიროა, სიფრთხილისათვის, ყველამ, დილით და დაძინების წინად საღამოს, მიიღოს 10 წვეთი მარილის სიმჟავე, ერთ ფიალა ადუღებულ-განელებულს წყალში გახსნილი.

დ) საჭიროა, საზოგადოდ, არ შეიცვალონ ყოველ დღიური ჩვეულებრივი ულუფა. საჭმელი უნდა იყოს კარგად შემწვარი ანუ მოხარშული. უმსა და მკვახე ხილს არ უნდა მიეკარნენ. უკეთესია ხილი (ვაშლი, მსხალი და სხვა.) მიირთვან შაქარწყალში მოხარშული (კომპოტი) წყალი უნდა სვან ადუღებულ-გაცივებული და ყოველთვის 15 წვეთ მარილის სიმჟავეთი შეზავებული (ერთ ჭიქა წყალში 15 წვეთი). ზომიერად მიღებული სუფთა წყალი უვნებელია. ღვინო უმჯობესია წითელი, საჭიროა, უზმოზედ არავინ გამოვიდეს სახლიდგან.

ე) სისუფთავე ოთახისა, საცმელისა და სარეცხისა უუსაჭიროესი მოთხოვნილებაა! ყველგან ყოველთვის.

ვ) ტანი და პირი უნდა დაიბანონ ნადუღ-განელებულის წყლით.

ზ) ფეხსალაგებში დილა საღამოს უნდა ჩაისხას გოგირდის სიმჟავე, წყალში გათქვეფილი, და ანუ კირის სითხე.

ჰ) ყოველსა და ყველაფერში უნდა ზომიერება.

თ) ხორველის შიში კაცმა არ უნდა გაიტაროს გულში და ეცადოს აასრულოს ყველა ის, რაც ზემოდ აღნუსხულია.

გიორგი ჯანაშვილი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

საინტერესო წერილია გაზ. «Новости»-ში დაბეჭდილი ი. ბაბენკოს მიერ იმის შესახებ, რომ გლეხ-კაცობის საქმეს ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული ჩვენში.

ძალიან მაკვირვებს, რომ ჩვენი საზოგადოებაც და მწერლობაც ასე ნაკლებს ყურადღებას აქცევს გლეხ-კაცობას. იქმნება ამის მიზეზი ის არის, რომ მათი ყურადღება შთანთქმულია შორეულ-აღმოსავლეთის ომით? ან იქნება სხვა რამ მიზეზია და სხვათა შორის ჩვენებური დაუდევრობა?

გლეხ-კაცობა ჩვენში იმდენად რიცხვმრავალია, რომ ყველა სხვა წოდებანი, ერთად შეერთებულნი, წვეთია ზღვაში მასთან შედარებით. მაშასადამე, ეგ გლეხ-კაცნი არიან ნამდვილი განხორციელება ჩვენის დედა-ქვეყნისა, ჩვენის სამშობლოისა.

დაუმატეთ ამას ისიც, რომ ჩვენ უგვლანი ვსაზრდოობთ სწორედ იმ პურით, რომელიც მოჰყავს ამ გლეხ-კაცობას თავისთვისაცა და ჩვენთვისაც. მოიგონეთ სალტიკოვ-შჩედრინის მოთხრობა, «როგორ ასაზრდოვა ერთმა გლეხმა ორი გენერალი».

არავითარი სიმდიდრე წარმოსადგენი არ არის უმუშაოდ, უმიწოდ. დიდი სახნავ-სათესი და მიწა-მინდორი არ მისცემდა თავის პატრონებს არც ერთს კაპიკს შემოსავალს, ამ სახნავ-სათესსა და მინდვრებს რომ არ ანაყოფიერებდეს ეგ «მარილი ქვეყნისა»—გლეხ-კაცობა თავისის შრომითა და ოფლით. ნუ დაივიწყებთ, ბოლოს, იმასაც, რომ მხოლოდ ეგ ას-მილიონიანი გლეხ-კაცობა სძლევს იაპონელებსაც და სხვა დაუპატიჟებელ სტუმრებსაც, რომ იგი ეხლაც ასობით და ათასობით სდებს თავს ჩვენის გულისათვის ბრძოლის ველზედ. ნუ თუ ყოველ ამას შემდეგ უსამართლობა არ არის, რომ ბჭობაა გაცხარებული, როგორი კანონმდებლობა მივცეთ გლეხ-კაცობასთა და ბჭობაში კი ერთი წარმომადგენელი მისი არ არის მიწვეული?! იმაზედ უკეთესად, ვინ იცის, რა უჭირს გლეხ-კაცს და რა არა. ისეთები სწყვეტენ იმის ბედსა და უბედობას, რომელნიც სრულიად ჩახედულნი არ არიან გლეხკაცების საქმეში და რომელთაც არც საინტერესოდ მიაჩნიათ ყოველივე წვლილი გლეხ-კაცთა ყოფა-ცხოვრებისა.

ჩემის აზრით, ბედი და მომავალი ამ ასისა და ას-ოცის მილიონის ხალხისა, ჩვენის მარჩენალ-მაცხოვრებლებისა, ჩვენის მახლობლებისა, ჩვენის სისხლისა და ხორცისა, თუმცა კი ჩვენ მიერ მოძულებულებისა—ბევრად უფრო საყურადღებო უნდა იყოს, ვიდრე პორტ-არტური და მთლად შორეული და უცხო მანჯურია და კორეია, უცხო სულითაც და ხორცითაც. იქ კი არა, შორეულ-განაპირას-კი არა, არამედ აქ, სახლში, სახელდობრ ამ ას მილიონთან მოძმეთა შორის არის ჩვენი ძალა, ჩვენი ღონე, სიკეთე და ბედნიერება.

ჩვენი სიკეთე იმაში კი არ არის, რომ უარესად „მოვუჭიროთ" გლეხობას, უფრო „შევზღუდოთ" და ჩავუკლათ გულში პრეტენზია ადამიანად გადაქცევისა, არამედ ის არის, რომ დავუახლოვოთ ეს მარილი ქვეყნისა კულტურით დაწინაურებულთ, შევქმნათ ის ერთობა ინტერესებისა მაღალთა და დაბალთა შორის, რომლითაც გვებრძვის დღეს შეკავშირებული და მით გაძლიერებული იაპონია. ოჰ, შევქმნათ ეგ ერთიანობა და მაშინ ასი იაპონიაც ვეღარ გვაჯობებს...

ადვილი სათქმელია შექმნა ერთიანობისა. არქიმედმა სთქვა, მიჩვენეთ ისეთი წერტილი, რომელზედაც დამყარება შეიძლებოდეს და ქვეყანას გადავატრიალებო. მომეცით ერთიანობა, ერთი პირი და მთელს საქართველოს ავაყვავებ, გავაბედნიერებ, სამოთხედ გარდავაქცევ.

## თეატრი და ხელოვნება

**ოზურგეთი.** ოზურგეთელებიც არ დავრჩით უყურადღებოდ და გვეღირსა იმ პიესის ნახვა, რომელსაც კარგა ხანია ვნატრობდით, და რომელმაც ყველგან, სადაც ითამაშეს, დიდი ალტაცება გამოიწვია და კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. კვირას, 4 ივლისს, არტისტის დ. ჩარკვიანის გამგეობით, ტფილისის და ქუთაისის ზოგიერთმა არტისტებმა ითამაშეს სამოქალაქო კლუბის პატარა სცენაზე «ექიმი შტოკმანი ანუ, ხალხის მტერი» იბსენისა. არ შეგვიძლია ავსწეროთ ის ალტაცება, რაც გამოიწვია დამსწრე საზოგადოებაში ამ პიესის თამაშმა და განსაკუთრებით ექიმის შტოკმანის როლის ისე მშვენიერად შესრულებამ დ. ჩარკვიანის მიერ. ბ. ჩარკვიანს მართლა, რომ დიდის დაკვირვებით და თითქმის უნაკლულოთ შეუსწავლია ყოველივე მომენტი და სულის კვეთება ამ სიმართლისთვის მებრძოლ ექიმისა. თავიდამ ბოლომდი ხელოვნურად ჩაატარა ეს როლი; ყველა სიტყვებს ისე სჭრიდა, როგორც მახვილი, ხმაც ხელს უწყობდა. ისე მოხიბლა საზოგადოება ბ. ჩარკვიანმა მშვენიერის თამაშით, რომ გამოწვევას, «ვაშას» ძახილს და ტაშის კვრას საზღვარი აღარ ჰქონდა.

დანარჩენ მოთამაშეში ქ-ნი გივიშვილი (ქ-ნი შტოკმანი) ვერ იყო კარგი; ყველა მის მიერ გამოხატული მწუხარება, ქმრის მდგომარეობით გამოწვეული, ძალ-დატანებული და უფერული იყო. ბ-ნნი პ. ბოთლიაშვილს (ბურგომისტრ) და ვ. მატარაძეს (გოფსტად) არა უშავდათ-რა, ბ. ყალაბეგიშვილი ბილინგის როლში მხოლოდ ლაპარაკობდა, თორემ მიმიკა და მოძრაობა არ ჰქონდა. ბ-ნ ა. წუწუნავას როლის უცოდინარობა ეტყობოდა ასლაკზენის როლში, კარგი «პიეტრა» იყო ქ-ნი მ. მდივანიც. «მორტენკილის» როლში ბ. გრ. ჩარკვიანი კარგი იყო; მის მიერ ექიმის დაცინვა ბუნებრივი იყო, თუმცა მოძრაობა უფრო ყმაწვილისა ჰქონდა, ვიდრე მოხუცებულისა.

უსუფ-აღა.

**ს. კასპი.** შაბათს, 10-ს ივლისს, ადგილობრივ სცენის მოყვარულთა მიერ *ქ გამართულ იქმნა საქველ-მოქმედო წარმოდგენა. წარმოადგინეს ავქ. ცაგარლის ოთხ-მოქმედებიანი დრამა: «ქართველი დედა». ყველას მოეხსენება, რა ძნელია სოფლათ ამ გვარი პიესის დადგმა, მაგრამ სიძნელეს სძლიეს, თუმცა დიდი ხარჯი-კი მოუვიდათ. წარმოდგენამ შედარებით კარგად ჩაიარა. მეტადრე კარგი იყო ქ. ნ. ქუმსიშვილი ლეილას როლში. იმან იმდენად კარგათ შეასრულა თავისი როლი, რომ მაყურებელმა ვერც კი წარმოიდგინა, თუ ის სცენაზედ პირველად თამაშობდა. რიგიანნი იყვნენ აგრეთვე ქ. ნ. ილურიძისა მარინეს როლში და მეტადრე ბ. ერთაწმინდელი (ფარსადან); ამ უკანასკნელს თუმცა შედარებით პატარა როლი ჰქონდა, მაგრამ იმდენად კარგათ შეასრულა, რომ ძალიან მოეწონა საზოგადოებას... მაგრამ ყველაზედ უკეთეხი იყო ვახტანგის როლის ამსრულებელი—ბ. ქართლ-მეგრელი, რომელმაც იმდენად ბუნებრივად და გრძნობიერად შეასრულა თავისი რთული როლი, რომ ბევრს მაყურებელს უნებურათ ცრემლები წამოსცვინდა თვალებიდან. მეტადრე შესანიშნავათ ჩაატარა უკანასკნელი მოქმედება, და განსაკუთრებით ის ადგილი, როდესაც იგი ლეილას გვამს დასტირის. საზოგადოებამაც დააფასა მისი თამაში და მრავალ ჯერ ტაშის ცემით დააჯილდოვა ახალგაზრდა სცენის მოყვარული, რომელსაც თაიგულიც მიართვეს.

წარმოდგენას ხალხი ბლომად მოაწყდა; უფრო სასიამოვნო ის იყო და არის, რომ მაყურებელთა უმეტესი ნაწილი გლეხ-კაცობა იყო. ეგრედ-წოდებული «ინტელლიგენცია»-კი ძალიან ცოტა დაესწრო.

ვ. ს.

## „ივერიის" ფოსტა

**თ—ი. ვ. თ—ლს.** თქვენი წერილი რედაქციის მიმართ არ დაიბეჭდება.

**პ. ლ—ძეს.** თქვენი „ექსპრომტი" არ დაიბეჭდება.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

**ბერლინი** (ვოლფის სააგ.) რუსეთის მთავრობამ განაცხადა, «სკანდიის» განთავისუფლების ბრძანება უკვე გაგზავნილიაო.

**სუეცი** (რეიტერის სააგ.) რუსეთის კონსულს მოლაპარაკება აქვს საქედივოს კამპანიასთან, რომ დაიქირაოს გემი მართებლობის დეპეშათა მისატან-მოსატანად თავისუფალ ფლოტის გემებისათვის.

**ლოძი.** ქალაქი გულით აცილებს შორეულ აღმოსავლეთს მიმავალ მე-10 არტილერიის ბრიგადის ბატარეიებსა. მიმავალთა პატივსაცემლად გამართული იყო სადღესასწაულო სადილი გუბერნატორის, ადგილობრივ სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთა და ქალაქის წარმომადგენელთა თანადასწრებითა.

**ჩიფუ.** გერმანიის გემით ნიუ-ჯუანიდან მოსულნი იუწყებიან, რომ ოთხმა ნალმოსანმა იაპონიისამ გაშინჯა გემი და გაუშვა, ხოლო შემდეგ ზარბაზნების სროლა დაიწყესო.

**ტიანძინი.** ამბობენ, გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის ბრძანებით 11 ივლისს დაიწყეს ნიუ-ჯუანის დაცლაო. იუწყებიან, რომ რუსის რკინის გზის სადგურს დილით ცეცხლი ეკიდაო.

**სუეცი.** შეპყრობილი ინგლისის გემი «არდოვა» მოვიდა აქ რუსეთის სამხედრო ბაირაღით და რუსის კომანდით. იმას გზანიან დანიშნულებისამებრ რუსეთში. ინგლისის კრეისერი «ვენუსი» გვერდში ამოსდგომია «არდოვას».

**იოკოჰამა.** 11 ივლისს ვლადივოსტოკის ესკადრამ იძუს ახლო დაღუპა ზღვაში ინგლისის გემი «ნაიტ კომმანდერი», რომელიც ნიუ-იორკიდან მოდიოდა. მეზღვაურნი წინათვე გადმოიყვანეს გემ «ტოინანზე», რომელიც 12 ივლისს იოკოგამას მოვიდა. რუსებმა შეიპყრეს აგრეთვე გერმანიის გემი, ვგონებთ «არაბია», რომელიც დატვირთული იყო ფქვილით, და ინგლისის გემიც, რომლის სახელი არ იციან. ეს გემები ვლადივოსტოკს გაისტუმრეს.

13 ივლისი.

**ტოკიო.** გემი «ნაიტ კომანდერი»,

---

ტულაში მომზადებული რევოლვერი რომ ცოლს ესროლოთ, თვითონ თქვენ მოგხვდებათ!

სიგაევს შერცხვა და ეწყინა, რომ ის მკვდარი იქნებოდა და ვერ დაინახავდა თავის მოღალატის წვალებას. შურისძიება მხოლოდ მაშინ არის კარგი, როცა შეგიძლიან დასტკბე მისის ნაყოფით. მე თუ კი სამარეში ვიქნები უგრძნობლად, ეგ რაღა სამაგიეროს გადახდა იქნებაო! —ჰფიქრობდა თავისთვის სიგაევი.

არა, აი მე როგორ ვიზამ,—დაფიქრებით სთქვა მან,—ჯერ მოვკლავ იმას, დავესწრები მისს დასაფლავებას, დავსტკბები მისის მზერით, და შემდეგ მეც თავს მოვიკლავ... მაგრამ ვაი თუ მანამდე დამიჭირონ და იარაღი ამყარონ... მაშ ასე, მოვჰკლავ ჩემის მოღალატის საყვარელს, მე კი, სანამ დრო არ მოვა, ცოცხალი ვიქნები, წავალ მხოლოდ სატუსაღოში. თავის მოკვლას ყოველთვის მოვასწრებ. დატუსაღება ჩემთვის მით უფრო კარგია, რომ გამოძიებამდე საშუალება მექნება, ყველაფერი მისი დაფარული სისაძაგლე, როგორც მთავრობას, ისე საზოგადოებასაც გავაგებინო. თავი რომ მოვიკლა, მაშინ ადვილად შესაძლებელია, რომ მან თავისი თავი უმანკოდ გამოიყვანოს, მე კი გამლანძღოს, დამამციროს... ხოლო ცოცხალი როცა ვიქნები, მაშინ კი!..

ერთის წამის შემდეგ სიგაევი ხელახლა ფიქრს მიეცა.

— არა, მე რომ თავი მოვიკლა, მევე გამამტყუნებენ და ჩემზედ ეჭვს შემოიტანენ, იტყვიან, რომ ჭკუაზედ შემცდარი ვიყავი. მაშ რისთვის, რატომ მოვიკლა თავი?! ეს ერთი. მეორე—თავის მოკვლა მშიშარ-ლაჩართა საქმეა. მაშ ასე, მოვჰკლავ ჩემის მოღალატის საყვარელს და მერე მე თვითონ გამოვცხადდები მსაჯულებთან. მე გამასამართლებენ და ის კი მონაწილეობას მიიღებს ჩემს გასამართლებაში, როგორც მოწამე. მე ეხლა თვალწინ მიდგას მისი გამოურკვეველი მდგომარეობა, დრტვინვა, სახელის გატეხა, სირცხვილი; ოჰ, როგორ ეცვლება ფერი, როდესაც გამოჰკითხავს დამცველი!... თანაგრძნობა მსაჯულთა, საზოგადოებისა და ჟურნალ-გაზეთებისა, რა თქმა უნდა, ჩემკენ იქნება...

— აი ინგლისური რევოლვერი ახალის სისტემისა, ამ დღეებში მივიღეთ...—ბუტბუტებდა ნოქარ.—მაგრამ გაფრთხილებთ კი, ბატონო, რომ ვერც ერთი ვერაფერი შვილია სმიტისა და ვესსონის სისტემის რევოლვერებთან. ამ დღეებში—თქვენც წაიკითხავდით,—ერთმა აფიცერმა შეიძინა ჩვენგან სმიტისა და ვესსონის რევოლვერი, და ესროლა თავისს საყვარელს. მერე რა მოხდა, როგორ გგონიათ? ტყვია მოხვდა ლამპას, გაჰფხაჰნა როიალი, მოჰკლა ფინია ძაღლი და მცირედ გაჰკაწრა ცოლი!... რევოლვერის მოქმედება, როგორც ჰხედავთ მეტად ბრწყინვალეა, და დიდს სახელსაც აძლევს ჩვენს ფირმას. აფიცერი ეხლა დაჭერილია. იმას, რა თქმა უნდა, გაასამართლებენ და გაჰგზავნიან კატორგაში. მერე რატომ ჰხდება ყველა ეს? პირველი იმიტომ, რომ ჩვენ ძლიერ დახავსებული კანონდებულება გვაქვს, მეორე, მოსამართლენი ყოველ შემთხვევაში საყვარლის მხარეზე არიან, და მერე იცით რატომ? სულ უბრალო გამოცანაა: მსაჯულნიცა, ნაფიცი მოსამართლენიცა, ბრალდებულიცა და დამცველიც—ყველანი სხვის ცოლებთან სცხოვრებენ. ამიტომ მათთვის უფრო სარფაა, თუ რუსეთში ერთი ქმარით ნაკლები იქმნება! საზოგადოებისათვის სასიამოვნოა, თუ მთავრობა ყველა ქმრებს სახალინში გაჰგზავნის! ოჰ, ბატონო, თქვენ არ იცით, თუ რა გულგრილობას იწვევს ჩვენში ეხლანდელი ხასიათის გათახსირება. სხვის ცოლების სიყვარული ეხლა ისე სასიამოვნოა, როგორც სხვის პაპიროსის მოწევა. ჩვენი ვაჭრობა ყოველ-წლობით უკან-უკან მიდის. ეს იმას არ ჰნიშნავს, რომ საყვარლების რიცხვი მცირდება, არამედ იმას, რომ ქმრები ურიგდებიან თავიანთს ხვედრს, თავიანთს სვე-ბედს, რადგანაც ეშინიანთ სასამართლოსი და კატორგისა.

ნოქარმა გადაჰხედა სიგაევს და ისევ დაიწყო:

— მერე ვინ არის აქ დამნაშავე, ბატონო?—ისევ მთავრობა!

— მაგნაირის ლორებისათვის სახალინში წასვლაც უჭკუობაა,—გაიფიქრა სიგაევმა. მე რომ კატორგაში წავიდე, ჩემი ცოლი მეორეს მისთხოვდება და იმასაც ჩემსავით მოატყუებს! ჩემს სიკვდილს კი იდღესასწაულებს. მაშ ასე: იმას დავტოვებ ცოცხალს და არც თავს მოვიკლავ. იმას? აღარც იმას მოვჰკლავ! უფრო ჭკვიანური, უფრო კარგი რამ უნდა მოვიფიქრო. დავსტანჯავ მე იმათ ზიზღითა და დავიწყებ განსაქორწინებლად დავას.

— აი, ბატონო, კიდევ ახალის სისტემის რევოლვერები.—და თაროდგან ნოქარმა რამდენიმე კოლოფი გადმოიღო, რევოლვერებით სავსე.—აბა, ყურადღებით გასინჯეთ ამისი ჩახმახის მექანიზმი! საუცხოვო რამ არის!

სიგაევისათვის ამნაირის გარდაწყვეტილების შემდეგ რევოლვერი საჭირო აღარ იყო. ნოქარი კი აუჩქარებლად აწყობდა ახალ-ახალ საქონელს სიგაევის წინ.

შეურაცხყოფილს ქმარს შერცხვა, რომ მისთვის ნოქარმა ამდენი დრო დაჰკარგა, მომხიბლავი სიტყვები დახარჯა, ამდენი სხვანაირი საქონელი გადმოალაგა.

— კარგი, რახან ასეა, შემდეგისათვის შემოვივლი, ან გამოვგზავნი ვისმე,—ნელის ხმით წარმოსთქვა სიგაევმა, რომელსაც არ დაუნახავს ნოქარის მრისხანე სახის მეტყველება. ცოტათი რომ შეემსუბუქებინა სირცხვილი, გადასწყვიტა იყიდოს რამე. მაგრამ რა?

მან თვალი შეავლო მაღაზიის კედლებს, რომ ამოერჩია იაფ-ფასიანი რამ ნივთი, და ბოლოს თვალი მოჰკრა კედელზედ ჩამოკიდულ პატარა ბადეს.

— ეს... ეს რა ჰღირს?—იკითხა სიგაევმა.

— ბადე მწყრების დასაჭერი გახლავთ.

— რა ეღირება?

— რვა მანეთი, ბატონო.

— შეახვიე!

შეურაცხყოფილმა ქმარმა მისცა რვა მანეთი, აიღო ბადე და გამოვიდა მაღაზიიდგან მეტად დარცხვენილი და დანაღვლიანებული...

სილ. თავართქილაძე.

რომელიც წყალში ჩაღუპეს, გამოსულა ნიუ-იორკიდან 17 ივნისს მანილლისკენ და 28 ივნისს შანხაიდან იოკოგამას მიდიოდა ხეტურჩეულის ტვირთით. ევროპიელი პასაჟირები რუსებმა თავისთან დატოვეს, გემ «ტიფანინის» მოსამსახურეებს ამბობენ, რომ რუსებმა იაპონიის ორი ნავი («მარუ») დალეწეს.

**სტამბოლი.** (რეიტ. სააგ.), ინგლისმა ენერგიულად მოსთხოვა პასუხი პორტას და პროტესტი განაცხადა, რომ არ სრულდება პარიზის და ბერლინის ტრაქტატები, აგრეთვე ამ გადაწყვეტილებების წინააღმდეგაც, რომლითაც კი მიეცემა რუსის კრეისერებს თავისუფალი ფლოტისას დარდანელზე გავლის ნება.

**ტიენცინი** (რეიტ. სააგ.) იაპონელნი ჯერ არ შესულან ნიუ-ჩუანში. რუსის საჰოსპიტალო მხარეებს ანგრევენ სააფთიაქო საღდომებმა.

**თავრიზი.** ჯერ აქ ხოლერა არ არის. ბევრი სომხები სახლობს ქალაქ გარედ ბაღებში.

**ბაქო.** როგორც «კასპი» მიიღო თეირანიდან ცნობა, იქ მხოლოდ ორს უბანში ხოლერა. დღითი-დღე კლებულობს. არც ერთი შემთხვევა სიკვდილისა არა ყოფილა არც რეშტში, არც თავრიზში. ჯულფაში გამართული კარანტინი ახსნეს.

**ტოკიო.** 10 ივლისს იაპონიის ელჩი სეულში მიიღო სასახლეში კორეის იმპერატორმა, რომელიც ძლიერ ღელავდა იყო, გზილის კორეის ის ზარალი, რაც ომმა მოუტანა. იაპონიის ჟანდარმერიამ 10 ივლისს დაშალა იაპონიის წინააღმდეგ კრება, რომელზედაც მონაწილეობდა 1500 კორეელი.

**კარპანტრასი.** საღვთისმეტყველო სადილზე, რომელიც კომბას და ამბროს პატივსაცემად იყო გამართული, მინისტრ-პრეზიდენტმა წარმოსთქვა სიტყვა, სადაც აღნიშნა სამინისტროს შინაურ პოლიტიკა. შემდეგ კომბამ სიტყვა აღნიშნა ... [illegible]

13 ივლისი.

**მუკდენი.** როგორც ისმის, პატარა-პატარა რაზმები იაპონელებისა მიიწევენ წინ ბინისკენ, რომელიც 60 ვერსზეა სადგურ ანშანიდან აღმოსავლეთით. ... 11 ივლისს ბრძოლა შესდგომია, რომელიც დაწყებულა დილის 6 საათზედ და გათავებულა ღამის 11 საათზედ. ჩვენს ჯარებს შეუნარჩუნებიათ პოზიციები. დაშიცაოდან 10 ვერსზედ არტილერიის ბრძოლა საფუძველია ვიფიქროთ, რომ ეგ ბრძოლა მხოლოდ მომზადებაა იმ ომისა, რომელიც დღესაც არ გათავებულა. რა შედეგი მოჰყვა ამ ბრძოლას, ჯერ არ არის ცნობილი.

**ტოკიო.** (რეიტ. სააგ.). ვლადივოსტოკის ესკადრა შენიშნულ იქმნა ნაცირადან აღმოსავლეთად. ესკადრა აღმოსავლეთისაკენ მიიმართება.

**იოკოგამა.** (რეიტ. სააგ.). ინგლისის იმ გემის აფიცრები, რომელმაც აქ მოიყვანა «ნაიტ კომანდერის» მეზღვაურნი, ამბობენ, რომ რუსთა გემის უფროსმა 10 წუთი ვადა მისცა მეზღვაურთ, დაანებეთ თავი გემსაო, რომელიც რუსებმა ჩაჰღუპეს ზღვაში.

**ნიუ-ჩუანი.** (რეიტ. სააგ.). ყოვლად მედგარის ბრძოლის შემდეგ, რომელმაც გასტანა 14 საათი და რომელსაც დიდი ზარალი მოჰყვა ორთავ მხრივ, რუსთა პოზიციის გამაგრება მოუხერხებელი-ღა იყო. რუსებმა უნდა დაიწიონ ახლა ხაიჩენამდე.

**შანჰაი.** (რეიტ. სააგ.). «ნაიტ კომანდერის» მეზღვაურთაგან მხოლოდ ინდოეთის მეზღვაური მიიყვანეს იოკოგამას. ევროპიელნი-კი დაპატიმრებულნი არიან.

**ჰამბურგი.** (ვოლფის სააგ.). სანავოსნო საზოგადოება „America Linie“ ამბობს, თუმცა შეპყრობილი გემი „არაბია“ ამ საზოგადოების კუთვნილებაა და გერმანიის ბაირაღით დადის, რამდენიმე წელიწადია, დაქირავებული ჰყავს ამერიკის, საზოგადოებას. ამიტომ ამ საზოგადოებამ უნდა აგოს პასუხი ზედ მყოფის ტვირთისათვის. ვალდებულია აგრეთვე საომარი იარაღი არ უზიდოს არც რუსეთსა და არც იაპონიას.

**ვაშინგტონი.** (რეიტ. სააგ.). გადაჭრით ამბობენ, რომ «ნაიტ კომანდერზედ» სამხედრო კონტრაბანდა არა ყოფილაო.

**ვაშინგტონი.** (რეიტ. სააგ.). გამოირკვა, რომ «არდოვაზედ» დიდძალი საომარი იარაღი ყოფილა ჩრდილო-ამერიკის შტატებისა ფილიპინის კუნძულებზედ მისატანი, სხვათა შორის 250 ტონი თოფის წამალი. ჰფიქრობენ, რომ გარეშე საქმეთა სამინისტრო ინგლისს მიანდობს «ნაიტ კომანდერის» საქმის გადაწყვეტას.

**სუეცი.** (რეიტ. სააგ.). «არდოვა» განთავისუფლებულ იქმნა. აფიცრები და მეზღვაურნი ხმელეთზედ გადმოვიდნენ.

**პორტ-საიდი.** გემმა «სკანდიამ» კვლავ დაიწყო სიარული და შევიდა არხში.

**მუკდენი.** არტილერიის ბრძოლაში დაშიცაოს 11 ივლისს ჩვენის მხრივ იყო 100 ზარბაზანი. ყუმბარები კარგად მიდიოდა მიზანში და მტერს დიდი ზარალი მისცა. ბევრი ზარბაზანი დაუზიანა და თოფის-წამლის ყუთები დაულეწა. იქ სადაც შუა-გული იყო ჯარისა. იაპონელებს უნდოდათ თავ-დასხმა, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ. ჩვენს ჯარებს ებრძანათ, უკან დაეწიათ და დაეჭირათ მაღლობნი 7 ვერსის მანძილზედ დაშიცაოდან ჩრდილოეთად. ეს ბრძანება ყოვლადის წესიერებით შეასრულეს. ჩვენი ზარალი 11 ივლისს 50 კაცს არ აღემატება.

**ლონდონი.** (რეიტ. სააგ.). «ნაიტ კომანდერის» ზღვაში ჩაღუპვამ დიდი მღელვარება გამოიწვია. «მორნინგ პოსტი» ამბობს: «დაღუპვა სავაჭრო გემისა სადავლო სასამართლოს მიერ გამოუძიებლად და ფორმალურ წესთა დაუცველად საომარი მოქმედებაა. გაგვიგონია და გვსმენია, რომ პატარა სახელმწიფოს დაეთმოს უკანონობა მაშინ, როცა ომი ყოფილა დიდთა და ძლიერთა სახელმწიფოთა შორის, ხოლო არ გაგვიგონია და არა გვსმენია, რომ ინგლისი ვითომ მეხუთე ხარისხის სახელმწიფოთა რიცხვს ეკუთვნოდეს, არა ჰყავდეს მეზღვაურთა მხედრობა და ეშინოდეს რუსთა ვლადივოსტოკის ესკადრისა. —«სტანდარტი» ამბობს: «ეს შემთხვევა მეტის-მეტად არა-ჩვეულებრივია და ოლონდაც, რომ არ ჩაივლის უიმისოდ, არ გამოვაცხადოთ წინააღმდეგობა და არ მოვითხოვოთ სრული ანაზღაურება ზარალისა. დაღუპვა და გადაწვა სანეიტრალო გემებისა იმას ჰნიშნავს, რომ მეტის-მეტი და შეუწყნარებელი მაგალითი მოჰხდეს. დასასრულ «სტანდარტი» ამბობს, რომ, სამწუხაროდ, საქმეთა ვითარება მეტის-მეტად სახიფათო და მწვავიაო.— «დეილი ქრონიკლი» ამბობს: «რაც ბალფურმა გამოსთქვა, იქიდან უნდა დავასკვნათ, რომ მოლაპარაკება რუსეთის მთავრობასთან ჯერ სრულიადაც არ არის გათავებული და რომ ზოგიერთი სამძიმო საგანი ჯერ არის გადაწყვეტილი, გარნა ჩვენ იმედი გვაქვს მალე გავიგებთ, რომ გარეშე საქმეთა სამინისტროს მოლაპარაკება აქვს ამ საგნის შესახებ ყოვლადის მისის ზოგადობით. ეს გარემოება თუა, ალბად, მიზეზი რომ მოლაპარაკება გაჭიანურდება.

---

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**

გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

## გამოსადეგნი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

9 ივლისი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,95 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,65 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | $37,52^1/_2$ |
| ბირჟის დისკონტი | $6—7^1/_2$% |
| 4% სახელმწიფო რენტა | $92^1/_2$ ნის. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 89 გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 387 წვ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 300 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 260 წვ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| $4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | $81^1/_2$ წვ. გაყ. |
| $4^1/_2$% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |

# განცხადებანი


ქ უ თ ა ი ს შ ი

**ს. გ. თოფურიას**

**სამკურნალოში,**

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

---

**გამოვიდა და ისყიდება**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამოცემანი:

**ვაი ჭკუისაგან**

ა. გრიბოედოვისა, ლექსად თარგმნილი განდეგილისაგან.

ისყიდება აგრეძვე «წერა-კითხვის საზოგადოებაში» და «ცოდნის» წიგნის მაღაზიებში

**კატალოგი**

წარმოსადგენად ნება-დართულ ქართულ პიესებისა.

**შექსპირის პიესები**

თარგმნილები ივ. მაჩაბლის მიერ, რომელიც შეძენილი აქვს ქართ. დრამ. საზოგადოებას.

მსურველთ უნდა მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილს.

(4—4),







ვერცხლისა




ოქროსი



ტფილ. გამოფენა.




**ქარხანა**

ზეთიანის საღებავებისა (კრასკებისა)

**ა. ა. თუთაევისა**

თხუთმეტ ამ თვის ივლისიდამ შემოკვეთით ვამზადებ რკინის სახურავებისთვის და იატაკებისთვის (ДЛЯ ПОЛОВЪ) ყველა ნაირს ფერს ზეთით გალესილს საღებავებს (краски). ვპირდები ყველას ჩემ ნაცმობს და უცნობს, რომ საღებავები იქნება უტყუარი და მაღალის ღირსების მასალით შეზავებული *), «ბელილა» და სხვა საღებავებიც გვექნება დამზადებული; ვინც მოისურვებს, ხელოსნებსაც გაუგზავნი, როგორც ტფილისში ისე სხვა ალაგას. მე თითონაც დაუხედავ საქმეს, თუ საჭირო იქნება. აგრეძვე ვიღებ სახლების აშენებას, მყავს ყველანაირი ხელოსნები, ეკლესიის სახურავებისთვის სამღვდელოებას დაუთმობ პრეისკურანტის ფასებზედ ფუთი მანეთ ნაკლებ, საქონელი ფასდადებითაც გაიგზავნება 50% ბეის მიღებით. ჩემი ადრესი: ტფილისს, ალალო თუთაევი, ელისაბედის ქუჩა, დიდუბეში, საკუთარ სახლებში.

*) რადგანაც საღებავები ძნელი საცნობია და წასმის შემდეგ მალე ფუჭდება, ამისათვის მაღალის ღირსების მასალით შეზავებული საღებავი ერთი ხუთად მეტს გასძლებს. (20—1)

---

ვისაც კი გსურთ აიცილოთ გაქურდვა და მშვიდებული იყვეთ **იყიდევით,** მარტო 4 მან. 90 კაპ., საიუდამო, უკეთესად შემუშავებული ავტომატიური ხმაურობის გამომწვეველი აპარატი **„ენდოლიანსი“**, მოწონებული ფინანსთა სამინისტროს მიერ **№ 13,884.**

შეგიძლიანთ დაჰკეტოთ ყოველ გვარი სადგომი და საწყობი, ისინიც კი, რომლებიც იმყოფებიან თქვენგან მოშორებით. შეგიძლიანთ აგრეთვე წახვიდეთ სადმე დულ-გამშვიდებული, რომ არ გეშინოდეთ ქურდებისა. **„ენდოლიანსი“** აძინებს როგორც შიგნით, ისე გარეთ მყოფთაც. რაწამს დაუპატიჟებელი სტუმარი შეხეება კარებს, ფანჯარას ანუ კარებს გასაღებად, აპარატი **„ენდოლიანსი“**, გარედგან შეუმჩნეველი, გამოიწვევს საშინელ ხმაურობას, მარტო თოფის წამლის აფეთქებით, საშიში არ არის. ხმაურობა ისმის სადგომის შიგნითაც და გარეთაც და აგრეძვე შორ მანძილზედაც. თუ სადგომის პატარა ზარს შეაერთებთ აპარატთან, მაშინ აპარატის ხმაურობასთან ერთად ზარი დაიწყებს წკარუნს, რომელ სადგომშიაც უნდა იყოს, და არ შეჩერდება ვიდრე სახლის პატრონთაგანი ვინმე არ შეაჩერებს.

**„ენდოლიანსი“** საჭიროა საყდრებისა, სახლებისა აგარაკებში, მაღაზიებისა, ბეღლებისა, ჩარდახებისა, სარდაფებისა, მარნებისა, თავლებისა და სხვა სადგომების გაქურდვისაგან დასაცველად. როგორ ადგილშიაც უნდა იყოს სადგომი, სულ ერთია. ეს აპარატი მაგარი ნამუშავარია და ყველას ადვილად შეუძლიან იხმაროს.

ფასი გაგზავნით: ნიკელ გადაკრული აპარატი ჰყირს 4 მან. 90 კაპ., შევერცხლილი—5 მან. 60 კაპ.; ფასს დაღებით 10 კაპეიკით მეტი ჰღირს, აზიის რუსეთში კი 30 კაპეიკით მეტი. ვინც ციმბირში გაიწერს, უნდა გამოგზავნოს 2 მან. ბეთ. შეიძლება ფოშტის მარკებით.

მსურველთ მოითხოვონ ამ ადრესით: **Т-во „Эндолянъ“. Варшава, Милая 37/105.**

**გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ ი  ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ა.**

(5—6—)

---



**სწორედ მუქთია,**



იტყვის ყველა, ვინც გამოიწერს ჩვენგან

მხოლოდ **5 მ. 45 კ.** ჩვენისავე გაგზავნით.

უგზავნით 7 შემდეგს ნივთს: 1) **საათი** გაშავებული ფოლადისა, ქალისა ანუ კაცისა, მაგარის მექანიზმით, სწორის მუშაობით, 6 წლის ვადით ბუღდავანობით; 2) მევის ბუდე საათისთვის; 3) **ძეწკვი** საათისა, ქალისა ანუ კაცისა; 4) **ბრელოკი** ახალა. ოქროსი „კომპასი“, ანუ «ბინოკლი» საინტერესო სანახავით ან სხვ.; 5) ტყავის ქისა პულისთვის მთელის ნაჭრისა, 7 განყოფილებით და მყიდველის ბეჭდით; 6) **მუშტუქი** დ-რის კოხისა თამბაქოს მწეველთათვის, ანუ კალმის დანა; 7) **ოქროს ბეჭედი** 56 როზისა ან ჯიბის ელექტრონის ფარანი, ანუ ტყავის პოტსიგარი ან მეშის ჩანთა ამარზე ჩამოსაბმელი. თავსახურავიანი საათი გაეგზავნება, ვინც 6 მ. 75 კ. გამოგზავნის.

შეკვეთილი ნივთები გაეგზავნებათ დაუყოვნებლივ და კეთილ სინიდისიერად ბეს გამოგზავნა საჭირო არ არის, ნივთები ფასდადებით გაეგზავნებათ.

ადრესი: **სავაჭრო სახლი ფელიპიანი და კომპ., ვარშავა, 36—333**

P. S. აზიის რუსეთსა და ციმბირში ნაწილი გზის ხარჯისა მყიდველთ გადახდებათ და ივთებიც მხოლოდ წინადვე ბეის მიღების შემდეგ გაეგზავნებათ. 3—6—2)

---

ზემოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

**ლალაფი**

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,

ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,

თ ა რ გ მ ა ნ ი  გ რ .  ყ ი ფ შ ი ძ ი ს ა

გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.

**ფასი ერთი მანეთი**

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი ეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

**ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად სტცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აღკრძალულია.**


Дозволено цензурою Тифлисъ 13 іюля 1904 г. Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи